ხეებზე წარწერილი ლექსები

მთელ ცხოვრებას შენზე ფიქრით გავივლი,
უშენობას გული ვერ შეეთვისა,
ნუშის წვერში რომ იფეთქებს ყვავილი,
იქ მაქვს გული შენახული შენთვისა.

შენ სუმბული ხარ, ნაზი რტოვანი,
შენ, ვით მაისმა, შემომისწარი,
შენი სიწმინდის შუქის თოვანი
გულში ბრწყინვალებს, როგორც ცისკარი

სად არი ტილო ან მარმარილო,
ბრინჯაო, რვალი, ქვა და ქაღალდი,
რომ დაიტიოს შენზედ ოცნება,
ჩემი მდუღარე სულის ღაღადი=!

მოგუბდა ლექსი შენს სიყვარულზე
და ლამის ყელში გადაილეწოს
ერთხელ დახარე ჩემკენ წამწამი,
რომ ჩემმა ჩანგმა შენზედ ილოცოს...

სატრფოვ, გაფანტე ფიქრები,
ეჭვიანობის არაკი,
სულ მუდამ ერთად ვიქნებით,
როგორც მტკვარი და არაგვი!